განათლების სექტორში მიმდინარე ტენდენციების მიმოხილვა

2020 წელი

ანგარიში მომზადებულია განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესისთვის

მეთოდოლოგია 3
მიმოხილვის შესახებ 3
გამოყენებული მეთოდები 3
განათლების სექტორის მიმოხილვა 5
ვაკანსიების ანალიზი 9
დასკვნა 18

მეთოდოლოგია

მიმოხილვის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია საქართველოში განათლების სექტორში მიმდინარე ტენდენციები განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროების შეფასების ჭრილში.

რა მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლევა გავაკეთოთ პროგნოზი

რადგანაც პროგრამა არის ინგლისურენოვანი, მიმოხილვისთვის მნიშვნელოვანია როგორც საქართველოში განათლების სექტორის, ასევე ევროკავშირის უმაღლესი განათლების სექტორის შესახებ ინფორმაციის მიმოხილვა, საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ტენდენციები.

- საქართველოში განათლების სექტორის განვითარების დინამიკა (ეკონომიკური მაჩვენებლები)
- სტატისტიკური ინფორმაცია სტუდენტების, მათ შორის სადოქტორო საფეხურის სტუდენტების რაოდენობის შესახებ, განათლების სფეროების მიხედვით
- განათლების სექტორში ვაკანსიების განაწილება
- ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებლები საქართველოში
- მთავრობის სტრატეგია განათლებასა და მეცნიერებასთან დაკავშირებით
- ინფორმაცია განათლების სექტორზე ევროკავშირში

გამოყენებული მეთოდები

მეორადი წყაროების ანალიზი

განათლების სექტორში მიმდინარე ტენდენციების შესწავლის მიზნით მნიშვნელოვანია ისეთი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომელიც ადასტურებს რომ უახლოესი წლების განმავლობაში იქნება მოთხოვნა განათლების სფეროს პროფესიონალებზე. ამისათვის შესწავლილი იქნა შემდეგი სახის მეორადი წყაროები:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური სტატისტიკა
    - საქართველოში განათლების სფეროში მოქმედ საწარმოთა რიცხოვნობის დინამიკა
    - განათლების სფეროში მოქმედ საწარმოთა ფინანსური შედეგები (მოგება)
    - განათლების სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა
    - განათლების სფეროში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის დინამიკა

2. „განათლების სექტორის მიმოხილვა“, გალტ @ თაგარტი, 2020 წელი
3. განათლების ხარისხის და შეფასების ცენტრის მონაცემები
4. Eurostat (https://ec.europa.eu/eurostat)

ვაკანსიების პორტალზე გამოქვეყნებულ განცხადებების ანალიზისთვის შერჩეული იქნა ისეთი ვაკანსიები რომელბიც რელევანტურია განათლების სფეროს პროფესიონალებისთვის.

განათლების სექტორის მიმოხილვა

საქართველოს განათლების სფეროს პროფესიონალებისთვის რელევანტური დასაქმების შესაძლებლობების შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების მიმოხილვა, რომელიც მიგვანიშნებს განათლების სექტორის განვითარების დინამიკაზე და ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდაზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, ბოლო 2013-2019 წლების განმავლობაში განათლების სფეროში მოქმედი საწარმოების რაოდენობა იზრდება. ასევე იზრდება განათლების სექტორის მთლიანი გამოშვება ამ წლების განმავლობაში. რაც შეეხება ფინანსურ მოგებას, მცირე ჩავარდნა ჰქონდა სექტორს 2015 წელს, თუმცა 2016 და 2019 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა განათლების სექტორში მოქმედი საწარმოების მთლიანი ფინანსური მოგება.

განათლების სექტორის აქტივობის ზრდა უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას ამ სფეროში და გაზრდის მოთხოვნას განათლების სპეციალისტებზე.

დიაგრამა 1. განათლების სფეროში მოქმედი საწარმოების (ორგანიზაციების) რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით [1]



დიაგრამა 2. განათლების სფეროში მოქმედი საწარმოების (ორგანიზაციების) მთლიანი გამოშვება მიმდინარე ფასებში მლნ ლარი (2013-2019)

[1] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიური პუბლიკაცია, 2019 წელი, https://www.geostat.ge/media/28061/Business-sector-2018.pdf



დიაგრამა 3 ფინანსური მოგება (მლნ. ლარი)



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით განათლების სექტორში დასაქმებულთა დინამიკაც სტაბილურად იზრდება. რაც შეეხება საშუალო ხელფასს, მართალია

განათლების სექტროში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი, სხვა სექტროებთან შედარებით დაბალია, თუმცა ზრდის ტენდენცია აქაც სახეზეა.

დიაგრამა 4. დასაქმების მაჩვენებელი განათლების სექტორში (ათასი კაცი)



დიაგრამა 5 განათლების სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის დინამიკა (ლარი)



თუ ძირითადი მაჩვენებლები მიხედვით დასაქმების ბაზარი მზარდია და ჯერ არ არის გაჯერებული, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს იმ სიტუაციასთან, რომ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას აქვს გამოწვევა, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრი შესთავაზოს ბაზარს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ შრომის ბაზარზე კონკრეტული კადრის მოთხოვნას განაპირობებს სახელმწიფოს მიერ ქვეყნის განვითარების სტრატეგიული ხედვა, საკანონმდებლო სიახლეები.

გალტ თაგარტის მიერ მომზადებულ განათლების სექტორის მიმოხილვაში ვკითხულობთ რომ „განათლების სექტორის წმინდა მოგების მარჟამ 2018 წელს 20.4%-ს მიაღწია, რაც სამჯერ აღემატება მთლიანი ბიზნეს სექტორის მომგებიანობის საშუალო მაჩვენებელს საქართველოში“, თუ იმასაც გავითვალისწინებთ რომ საქართველოს მთავრობა გეგმავს რომ განათლებასთან დაკავშირებული ხარჯები 2022 წლისთვის მშპ-ს 6%-მდე გაზარდოს (2019 წლის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი 3.6%-ია), შეიძლება დიდი ალბათობით ვივარაუდოთ რომ განათლების სექტორის ზრდის ტენდენცია მომავალი წლების პერიოდში შენარჩუნდება და გაიზრდება განათლების სერვისებზე მოთხოვნა. განათლების სერვისებზე მოთხოვნის ზრდა კი აუცილებლად გამოიწვევს განათლების სფეროს პროფესიონალებზე მოთხოვნის ზრდას.

ამავე ანგარიშში მოცემულია განათლების სექტორზე COVID 19-ის გრძელვადიან ზეგავლენაზე მოსაზრებები. ავტორების აზრით, განათლების სექტორი სტაბილურად გაიზრდება პოსტ-პანდემიურ პერიოდში. ასეთი პროგნოზის საფუძველი არის სამთავრობო ხარჯების გაზრდის დანაპირები და „საგანმანათლებლო სერვისებზე მოთხოვნა, რომლებიც შედარებით მდგრადია მაკროეკონომიკური რყევების მიმართ.“

ანგარიშში ასევე მოცემულია უმაღლესი განათლების სექტორის მიმოხილვა. უმაღლესი განათლების სექტორის შემოსავალი 251 მლნ ლარიდან 691 მლნ ლარამდე გაიზარდა ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამასთან კერძო სექტორის წმინდა მოგების მარჟამ 25%-ს მიაღწია 2018-2019 წლებში.

განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს უნივერსიტეტების შემოსავალი სწავლის საფასურისგან შედგება ძირითადად, უნვიერსიტეტებს არ აქვთ/მიზერულია კვლევასთან დაკავშირებული შემოსავლები. მომავალში კვლევების განვითარება პოზიტიურად აისახება როგორც უნივერსიტეტის ხარისხზე, ისე მათ ფინანსურ მდგომარეობაზე.

ადგილობრივი სტუდენტების გარდა, რომელთა რიცხვი მეტნაკლები სტაბილურობით ხასიათდება, საკმაოდ მზარდია საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა. საქართველოში 2009 წლის შემდეგ საერთაშორისო სტუდენტების რიცხვი გაიზარდა 16-ჯერ. უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვების წილი 8.7% აღწევს.

საქართველოს მთავრობას აქვს მოლოდინი რომ საქართველო შეიძლება გახდეს განათლების ჰაბი რეგიონში. ამ მიზნის განხორციელების ხელს შეუწყობს ქუთაისის საერთაშორისო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნა. ტენოლოგიური უნვიერსიტეტი ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვას არამხოლოდ სამედიცინო განათლების მიღების მსურველების ხარჯზე.

საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვას ხელს უწყობს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობის ზრდა. ამჟამად ქართულ უნივერსიტეტბში ჯამში 171 უცხოენოვანი პროგრამა ხორციელდება, არის მოლოდინი რომ უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა მომავალშიც გაიზრდება.

სტატისტიკური ინფორმაცია უმაღლეს საგანამანთელბლო დაწესებულებებში სტუდენტების და პროგრამების შესახებ

სადოქტორო პროგრამების მიმართ ინტერესი საქართველოში სტაბილურად ნარჩუნდება. შეიძლება ითქვას რომ ბოლო 7 წლის განმავლობაში მცირე ზრდა შეინიშნება ამ კუთხით.

დიაგრამა 6 დოქტორანტურაში მიღებული სტუდენტების რაოდენობა



სადოქტორო პროგრამების მიხედვით დოქტორანტების განაწილების მიხედვით ყველაზე მაღალია სოციალური მეცნიერებების, ბიზნესის და სამართლის პროგრამებზე ჩარიცხული დოქტორანტების რაოდენობა. განათლების მიმართულებით დოქტორანტების მხოლოდ 2.4% ჩაირიცხა, თუმცა ამის მიზეზი განათლების მიმართულებით სადოქტორო პროგრამების სიმცირეა. 2019 წელს ჰქონდა მხოლოდ 3 უნივერსიტეტს განათლების მეცნიერებების მიმართულებით სადოქტორო პროგრამა (თსუ, ილიაუნი, შავი ზღვის უნივერსიტეტი).

დიაგრამა 7 ჩარიცხრული დოქტორანტების განაწილება სადოქტორო პროგრამების მიხედვით, 2019



ინტერნაციონალიზაცია

უმაღლესი განათლების საქართველოში მიღების მსურველთა რაოდენობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იმატებს. განსაკუთრებით მაღალია ზრდის ტემპი ბოლო 5 წლის განმავლობაში.

დიაგრამა 8 საქართველოში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა (2005-2019)



უცხოელი სტუდენტების ინტერესი მაღალია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამების მიმართ.

დიაგრამა 9 უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა ბაკალავრიატის და მაგისტრატურის / დიპლიმირებული მედიკოსის პროგრამებზე



დიაგრამა 10 უცხოელ სტუდენტთა განაწილება პროგრამების მიხედვით (2017-2018)



დოქტორანტურის საფეხურზე უცხოელი სტუდენტების რაოდენობა ნაკლებია, თუმცა ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს არა ინტერესის ნაკლებობით, არამედ უცხოენოვანი სადოქტორო პროგრამების სიმცირით საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2019

წელს სულ 19 უცხოენოვანი სადოქტორო პროგრამა იყო აკრედიტებული ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

დიაგრამა 11 დოქტორანტურაზე ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით (2016-2018 წწ)



დიაგრამა 12 უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები სწავლების საფეხურების მიხედვით (2019)



ცხრილი 1 უცხოენოვანი სადოქტორო პროგრამები სფერეობის მიხედვით

საერთაშორისო ურთიერთობები	3
წყლის ინჟინერია	2
სამართალი	2
ურბანისტიკა	1
მედიცინა	1
მასალები, ტექნოლოგიური პროცესები და მანქანები, სამშენებლო ნაგებობები	1
კომპიუტერული მეცნიერება	1
თურქული ფილოლოგია	1
ევროპული ლიტერატურა	1
ევროპისმცოდნეობა	1
გენდერის კვლევა	1
განათლების მეცნიერებები	1
ბიოსამედიცინო და ჯანდაცვის მეცნიერებები	1
ბიზნესის ადმინისტრირება	1
ამერიკისმცოდნეობა	1

უმაღლესი განათლება ევროკავშირის ქვეყნებში

ევროკავშირის 2020 სტრატეგიის მიხედვით დაგეგმილი იყო რომ 30-34 ასაკის მოსახლეობის 40% იქნებოდა უმაღლესი განათლებით. როგორც დიაგრამა 13-ზე ჩანს დასახულ მიზანს ევროკავშირმა მიაღწია უკვე 2018 წელს.

დიაგრამა 13 უმაღლესი განათლების მქონე 30-34 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი ევროკავშირის ქვეყნებში



ევროსტატის მონაცემებით როგორც ბაკალავრიატის ისე მაგისტრატურის საფეხურზე პოპულარობით მესამე ადგილზე განათლების მეცნიერებების პროგრამები.

დიაგრამა 14 უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა განაწილება სწავლების სფეროების მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნები, 2017 წელი.


Bachelor's or equivalent
0
25
50
75
100
125
150
175
200
225
Management and administration
202,9
Nursing and midwifery
121,3
Education science
66,3
Language acquisition
63,1
Training for pre-school teachers
59,6
Teacher training without subject specialisation
54,2
Electronics and automation
53,2
Medicine
51,2
Building and civil engineering
46,9
Mechanics and metal trades
46,5
Therapy and rehabilitation
43,6
Psychology
42,9
Sociology and cultural studies
41,5
Accounting and taxation
41,1
Economics
39,5
Political sciences and civics
37,6
Architecture and town planning
35,6
Music and performing arts
35,0
History and archaeology
34,5
Teacher training with subject specialisation
33,3
(thousands)


Master's or equivalent
0
25
50
75
100
125
150
175
200
225
Management and administration
149,7
Medicine
110,9
Education science
61,7
Teacher training with subject specialisation
49,3
Architecture and town planning
39,7
Teacher training without subject specialisation
39,4
Psychology
32,5
Electronics and automation
30,6
Finance, banking and insurance
30,5
Building and civil engineering
30,3
Language acquisition
29,2
Political sciences and civics
28,2
Literature and linguistics
27,0
Nursing and midwifery
26,2
Mechanics and metal trades
25,0
Economics
24,6
Sociology and cultural studies
23,1
Accounting and taxation
22,6
Pharmacy
20,5
History and archaeology
18,9
(thousands)

ვაკანსიების ანალიზი

ვაკანსიების ანალიზის დროს შევისწავლეთ ის განცხადებები, რომლებიც გამოცხადებული იყო განათლების სფეროში მოქმედი ორგანიზაციების მიერ. სულ 2019 წლის და 2020 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში განათლების სფეროს ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული იყო 497 ვაკანსია. ვაკანსიების განაწილება დაწესებულების ტიპის მიხედვით მოცემულია დიაგრამა #6-ზე.

დიაგრამა 15 2019-2020 წლის პირველ ორი კვარტალის განმავლობაში JOBS.GE ზე განათლების სფეროში მოქმედი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა



უმაღლესი განათლების დაწესებულებების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების დიდი ნაწილი არის აკადემიური თანამდებობები 120 ვაკანტური ადგილი სხვადასხვა მიმართულებით.

სკოლების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების დაახლოებით ორი მესამედი (68%) გამოცხადებულია მასწავლებლების პოზიციაზე. 15% არის ადმინსიტრაციული თანამდებობები (საშუალო და მაღალი რგონის მენეჯერები), 17% კი დაბალი კვალიფიკაციის პოზიციებზე (დამხმარე სერვისები).

საბავშვო ბაღების მიერ გამოცხადებული განცხადებების 87% აღმზრდელებზე და ძიძებზეა. მხოლოდ 13%-ია ხელმძღვანელ პოზიციებზე ან ადმინსიტრაციულ თანამდებობებზე.

დასკვნა

საქართველოში განათლების სექტორის განვითარების ეკონომიკური მაჩვენებლები იძლევა იმის მოლოდინს რომ განათლების სექტორი მომავალი საშალოვადიან პერსპექტივაში განაგრძობს ზრდას. განათლების სერვისებზე მოთხოვნა შენარჩუნდება განათლების როგორც დაწყებით, საშუალო და უმაღლეს საფეხურებზე. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ზრდის ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება. საქართველო სულ უფრო მეტი საერთაშორისო სტუდენტებისთვის იქნება მიმზიდველი როგორც უმაღლესი განათლების მიღების მიმართულება. ყველაფერი ეს გვაძლევს იმის პროგნოზის შესაძლებლობას რომ განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა შეესაბამება საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციას, შესაბამისი მარკეტინგული აქტივობების განხორციელების შემთხვევაში, მაღალი ალბათობით სავარაუდოა რომ უნივერსიტეტი შეძლებს მოიზიდოს უცხოელი დოქტორანტები.